

"ორსული ქალი ჭაობიდან ამოვიყვანე, მან კი მიმატოვა"

2014-08-02 09:35:46

www.sana.ge

ის ეკლესიაში შემოვიდა, თავსაფრიდან ქერა თმა მოუჩანდა. ტირილისგან თვალები და ცხვირი ჰქონდა ჩაწითლებული. გაფერმკრთალებულ სახეზე თეთრ ცხვირსახოცს ხშირ–ხშირად ისვამდა, ოფლს იწმენდდა. სადა, უბრალო ტანსაცმელშიც კი შეამჩნევდი მის ლამაზ სხეულს. პირველად რომ დავინახე, საკურთხევლის წინ ვიდექი. სტიქარი ახალი ჩაცმული მქონდა და მოძღვრის მოძრაობებს გაფაციცებული ვაკვირდებოდი, რომ რამე არ გამომპარვოდა. მისი დანახვისას კი თითქოს თავი დავკარგე, ყველაფერი დამავიწყდა. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. გონზე ერთმა მგალობელმა მომიყვანა, ხელი მომკიდა და რაღაცაზე მიმანიშნა. იმ ქალის სახე თავიდან ვერ ამოვიგდე. "რატომ ტიროდა? რა აწუხებდა?" – ვფიქრობდი

განუწყვეტლივ. რამდენიმე დღე არ გამოჩენილა,
მერე ისევ მოვიდა, სახე ძველებურად
გაფერძნოთალებული ჰქონდა, უფრო
შეთხელებულიც. აღარ ტიროდა, მაგრამ თვალებში
უზარმაზარი სევდა ჰქონდა. დღესაც არ ვიცი, რატომ,
მაგრამ პირდაპირ ჩემკენ წამოვიდა, რაღაც მკითხა.
ხმაც ისეთი ლამაზი ჰქონდა... სეფისკვერი მივაწოდე
და რაღაც ვუთხარი. ის იქვე ჩამოჯდა, მერე კიდევ
რაღაც მკითხა და...

ეტყობა, იგრძნო, რომ ჩემს გულში უზომოდ დიდი
სითბო ტრიალებდა, რომელიც მხოლოდ მის მიმართ
იყო მიმართული. ამიტომაც თითქოს მომენდო,
მითხრა, მოძღვართან მისვლა მინდა, მაგრამ ვერ
ვბედავო. ვუთხარი, რომ ეკლესიაში ხშირად ევლო
და ამ ნაბიჯს უფალი ისე გადაადგმევინებდა,
თვითონ ვერც კი გააცნობიერებდა. ლოცვანი მივეცი
და ვთხოვე, ხშირად ეკითხა. მართლაც დაიწყო
ეკლესიაში სიარული, ჩემს მოძღვართანაც მივიყვანე,
გაესაუბრა. ერთ დღეს კი ტაძრიდან ერთად
წამოვედით, ვთხოვე, ყავა ჩემთან ერთად დაეღია და
სწორედ მაშინ გავიგე მისი მწუხარების მიზეზი.
ორსულად იყო. საყვარელმა კაცმა რომ გაიგო, ბავშვს
ელოდებოდა, მიატოვა. მან კი არ იცოდა, რა უნდა
გაეკეთებინა. სოფელში ორსული ვერ ჩავიდოდა,
თბილისში სამსახურიც აღარ ჰქონდა, იმ კაცს

მხოლოდ სამი თვის ბინის ქირის ფული ჰქონდა წინასწარ გადახდილი. მერე კი ქუჩაში რჩებოდა, ამას ისიც ემატებოდა, რომ საჭმლის ფულიც არ ჰქონდა. მოკლედ, ჭაობში იყო. ამბობდა, თავი უნდა მოვიკლა, სხვა გზა არ დამრჩა, ეკლესიაში კი იმიტომ დავდივარ, რომ იქნებ უფალმა გადარჩენის გზა მიჩვენოსო. ვუთხარი, უკვე გიჩვენა, დღეიდან აღარაფერზე იფიქრო, მე მომენდე–მეთქი. ჩემთან გადმოვიყვანე საცხოვრებლად. ყველას ისე გავაცანი, როგორც ჩემი ცოლი. მის ოჯახშიც ჩავედი და ვუთხარი, რომ მათი შვილი ძალიან მიყვარდა და დაქორწინებას ვაპირებდით. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ ქალს ველოდებოდი, თითქოს ჩემი ნაწილი იყო. თვითონ ისე იყო გაკვირვებული, ხშირ–ხშირად მეკითხებოდა, ამას რატომ აკეთებო. ვეუბნებოდი, რომ ძალიან მიყვარდა. ჩემი სიტყვები იყო გულწრფელი, გულიდან წამოსული. სამი კვირის გაცნობილი ქალი ცოლად მოვიყვანე. მას ისე ვუვლიდი, თითქოს მუცლით ჩემს შვილს ატარებდა. ბავშვს ველაპარაკებოდი, ვეუბნებოდი, რომ ის უკვე მიყვარდა. ჩემი საყვარელი ქალი ამ დროს გაოცებული, გაფართოებული თვალებით მიყურებდა და ხანდახან მეუბნებოდა კიდევ, რომ ეს ყველაფერი არ სჯეროდა. მე კი ბედნიერებისგან

დავფრინავდი...

ახლა მოძღვარი მეუბნება, დიდი სიყვარული
უფალმა ჩაგიდო გულში, რომ ის ქალი და ბავშვი
გადაგერჩინა, ამიტომაც იყავი ასე ბედნიერიო. თუ
ასეა, მაშინ მადლობა უფალს, მაგრამ ახლა იმ
ტკივილს რა მოვუხერხო, ჩემს გულში რომ გაიდგა
ფესვები და აღარ გამოდის? საქმე ის არის, რომ
ქალმა, რომელიც გადავარჩინე, მიმატოვა. ერთ დღეს
მითხრა, ბავშვის მამამ პატიება მთხოვა და მასთან
უნდა დავბრუნდეო. ეს იმით ახსნა, თითქოს შვილზე
ფიქრობდა, მე მამინაცვალი ვიქნებოდი, ის კი
ნამდვილი მამა იყო. კარი გაიხურა და ჩემი
ბედნიერებაც გაიყოლა.

დღემდე ვფიქრობ, რა იყო ეს. სიზმარი? მაშინ რატომ
არ მთავრდება? რატომ ვერ ვივიწყებ?

"სარკის" ერთგული მკითხველი